მანანა სანაძე

შესავალი მსოფლიო ისტორიაში

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი
2012

სახელმძღვანელოს შექმნაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საქართველოს უნივერსიტეტის ჰუმანიტარული სკოლის ისტორიის დეპარტამენტის პროფესორებმა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ისტორიის დეპარტამენტის ხელმძღვანელისა და საქართველოს უნივერსიტეტის პრორექტორის სამეცნიერო დარგში, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ თამაზ ბერაძის ღვაწლი.

ცალკეული მონაკვეთების დამუშავებაში მონაწილეობდნენ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლალი ფირცხალავა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თეა ქარჩავა, ანთროპოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თინათინ ღუდუშაური.

დაიბეჭდა საქართველოში.

საავტორო უფლებები დაცულია.

მანანა სანაძე © საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა 2012

რედაქტორები:

თამაზ ბერაძე

ლალი ფირცხალავა

ISBN 978-99940-50-55-0

საქართველო, თბილისი, 0175,
მ. კოსტავას 77ა.
ელ ფოსტა: ug@ug.edu.ge

სარჩევი

ნაკვეთი I — შესავალი
I თავი — *ისტორიის საგანი, წყარო, ქრონოლოგია, პერიოდიზაცია*
ისტორიის საგანი 5
ისტორიის წყარო 6
ისტორიის ქრონოლოგია 7
ისტორიის პერიოდიზაცია..... 29

ნაკვეთი II — ისტორიის დარგები
II თავი — არქეოლოგია, ეთნოგრაფია, ეთნოლოგია, ანთროპოლოგია, გენეალოგია, ჰერალდიკა, მეტროლოგია, ნუმიზმატიკა, ბონისტიკა, ისტორი**u l i** გეოგრაფია
არქეოლოგია 51
ეთნოგრაფია, ეთნოლოგია, ანთროპოლოგია 54
გენეალოგია 74
ჰერალდიკა 78
მეტროლოგია 78
ნუმიზმატიკა, ბონისტიკა 80
ისტორიული გეოგრაფია 81

III თავი — ცივილიზაციის, რელიგიის, ეკონომიკის და ეკონომიკური აზრის განვითარების ისტორია
ცივილიზაციის ისტორია 103
რელიგიის ისტორია 108
ეკონომიკის ისტორია 121
ეკონომიკური აზრის განვითარების ისტორია..... 138

IV თავი — სახელმწიფოს, დიპლომატიის და სამართლის ისტორია
სახელმწიფოს ისტორია 155
დიპლომატიის ისტორია 176
სამართლის ისტორია 188

V თავი — პოლიტიკური აზრის ისტორია, პალეოგრაფია, დიპლომატიკა, სფრაგისტიკა, ეპიგრაფიკა, წყაროთმცოდნეობა, ისტორიული აზრის ისტორია **(**ისტორიოგრაფია**)** და ისტორიის ფილოსოფია
პოლიტიკური აზრის ისტორია 199
პალეოგრაფია, დიპლომატიკა, სფრაგისტიკა, ეპიგრაფიკა 213
წყაროთმცოდნეობა 216
ისტორიული აზრის ისტორია (ისტორიოგრაფია) 222
ისტორიის ფილოსოფია 239

ნაკვეთი III — ისტორია
VI თავი — მსოფლიო პრეისტორიულ და ადრე ანტიკურ ხანაში
კაცობრიობა პრეისტორიულ ხანაში 251
ისტორიის ადრეანტიკური პერიოდი 261
ადრე ანტიკური ხანის საზღვაო-სავაჭრო ცივილიზაციები 282
ადრეანტიკური ხანის მესაქონლურ-მომთაბარული ცივილიზაციები 286

VII თავი — მსოფლიო გვიან ანტიკურ ხანაში — გლობალური იმპერიების ეპოქა (ძვ. წ. VI - ახ წ. V სს.)..... 289

VIII თავი — შუა საუკუნეები
ხალხთა დიდი გადასახლება და მსოფლიოში ძალთა ახალი გადანაწილება 329
ადრე შუა საუკუნეები — ნატურალურ-თვითკმარი ეკონომიკის ხანა 342
განვითარებული შუა საუკუნეები — მსოფლიო X-XIII საუკუნეებში 347

IX თავი — მსოფლიო შუა საუკუნეებისა და ახალი ისტორიის გასაყარზე
გვიანი შუა საუკუნეები 379
დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები — მსოფლიოს გამთლიანების დასაწყისი 393
ფეოდალიზმის დაშლა და კოლონიური იმპერიების ჩამოყალიბება 406
რეფორმაცია ევროპაში და ისტორიის ახალი პერიოდის დასაწყისი 416

X თავი — პირველი ბურჟუაზიული რევოლუციები და ევროპული ომები
თანამედროვე ინდუსტრიის გარიჟრაჟი 423
ევროპა XVI-XVIII სს-ში 428
,,დასავლეთ და აღმოსავლეთ ინდოეთი 452
საფრანგეთის დიდი რევოლუცია 456

XI თავი — მსოფლიო 1815-1870 წლებში
ეპოქის მოკლე დახასიათება 465
ევროპა და ამერიკა 1815-1870 წლებში 476

XII თავი — მსოფლიო XIX საუკუნის ბოლო და XX საუკუნის I მესამედში
ეკონომიკის განვითარების ძირითადი მახასიათებლები 503
მსოფლიო I მსოფლიო ომის წინ 509
I მსოფლიო ომი 515
კაცობრიობა I მსოფლიო ომის შემდეგ — 1919-1932 წწ. 524

XIII თავი — მსოფლიო 1930-2010 წლებში
წინამძღვრები, მსვლელობა და შედეგები ……..... 543
მსოფლიო ეკონომიკის აღდგენა. ომის შემდგომი ეკონომიკის დაგეგმარება ……..... 551
კომუნისტური სამყაროს გაფართოვება ……..... 554
იმპერიების დაშლის, ანუ დეკოლონიზაციის პროცესის დასაწყისი …….....557
ცივი ომი ……..... 558
სოციალისტური ბანაკისა და საბჭოთა კავშირის დაშლა 561
მსოფლიო 1990-2010 წლები 563
XX ს. — მსოფლიო პროცესები და ტენდენციები ……..... 574
გვერდზე გატანილი საკუთარი და გეოგრაფიული სახელების, ტერმინების საძიებელი..... 587

ნაკვეთი I — შესავალი

ისტორიის საგანი, წყარო, ქრონოლოგია, პერიოდიზაცია

§ 1. ისტორიის საგანი

ისტორია ძველი ბერძნული სიტყვიდან *ჰისტორია* წარმოდგება და გარდასულ ამბავთა თხრობას ნიშნავს. ძველი ბერძნულიდან „ჰისტორია/ისტორია“ სხვა ენებშიც, მათ შორის ქართულშიც, შემოვიდა და დღესაც, როდესაც გვინდა ვინმეს წარსულის შესახებ მოვუთხროთ, ვამბობთ: „გინდა მოგიყვე ამ ოჯახის, ადამიანის, ორგანიზაციის, შენობის და ა.შ ისტორია?“

ძვ. წ. V ს-ის ბერძენმა სწავლულმა ჰეროდოტემ „ისტორია“ თავის თხზულებას უწოდა, რომელშიც ბერძენთა და სპარსელთა გარდასული ომები აღწერა. ამგვარად, ისტორიულ თხზულებას პირველად ეწოდა „ისტორია“. ეს სახელი მეცნიერების ამ დარგის აღსანიშნავად მალევე დამკვიდრდა. ამიტომ, ჰეროდოტე სამართლიანად მიიჩნევა ისტორიის მეცნიერების მამად და პირველ ისტორიკოსად.

თუ ჩვენ ისტორიას, როგორც მეცნიერების დარგს განვიხილავთ, ვნახავთ, რომ მისი კვლევის საგანი შეიძლება დავიწროვდეს ან გაფართოვდეს. ჩვენ შეიძლება შესწავლის საგნად გავიხადოთ მთელი კაცობრიობის წარსული, ამას მსოფლიო ისტორია სწავლობს; ან რომელიმე კონტინენტი, თუ რეგიონი, მაგ., ევროპის, ან მახლობელი აღმოსავლეთის ისტორია, რაც, ბუნებრივია, დასახელებული რეგიონის ქვეყნების და იქ მცხოვრები ხალხების წარსულის შესწავლას გულისხმობს. ამას *რეგიონალური ისტორია* ეწოდება. ისტორიის ობიექტი ცალკეული ქვეყნის წარსულიცაა, მაგ., საქართველოს ისტორია, თურქეთის ისტორია, საფრანგეთის ისტორია და ა.შ. ზოგჯერ ისტორიკოსის კვლევის საგანს კონკრეტული ქვეყნის რომელიმე პროვინციის, ქალაქის, სოფლის, ციხე-სიმაგრის წარსული ან საზოგადოების ცალკეული ფენის, სამეფო დინასტიის, ცნობილი, თუ ნაკლებად ცნობილი საგვარეულოს წარსული წარმოადგენს.

რას ნიშნავს კაცობრიობის წარსული ცხოვრების შესწავლა?

წარსულის შესწავლა, უპირველეს ყოვლისა, მის რეკონსტრუქციას — აღდგენას გულისხმობს. ისტორიკოსმა უნდა წარმოაჩინოს, თუ როგორ და რას აწარმოებდა საზოგადოება მისი წარსული ცხოვრების სხვადასხვა პერიოდებში: როგორი შრომის იარაღები ჰქონდა, მეურნეობის რა დარგებს მისდევდა, რითი იკვებებოდა, როგორი საცხოვრებელი ჰქონდათ ადამიანებს, რითი იმოსებოდნენ, როგორი სახელმწიფო კანონები, ადათ-ჩვეულები და რწმენა-წარმოდგენები წარმართავდა მათ ცხოვრებას; რა ურთიერთობები ჰქონდათ მეზობელ თუ შორეულ ქვეყნებთან, როგორ ვაჭრობდნენ, რა ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები იწვევდა ომებს თუ ამყარებდა მშვიდობას. აქვე ჩნდება კიდევ ერთი კითხვა:

რის საფუძველზე შევისწავლით და როგორ აღვადგენთ საზოგადოების წარსულში განვლილ გზას, ანუ ისტორიას?

თავი I

სარჩევი:

ისტორიის საგანი ..... გვ. 5
ისტორიის წყარო ..... გვ. 6
ისტორიის ქრონოლოგია ..... გვ. 7
ისტორიის პერიოდიზაცია.... გვ. 29



ჰეროდოტე
ძვ. წ. 484-425 წწ.

ჰეროდოტე იყო ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფო ჰალიკარნასიდან, ამიტომ მას ჰეროდოტე ჰალიკარნასელსაც ეძახდნენ. ბერძენ-სპარსელთა ომები ძვ.წ. 500-449 წწ. მიმდინარეობდა. ჰეროდოტემ ამ ომების მხოლოდ ძვ.წ. 500-478 წლების ისტორია დაწერა.

„...ისტორიის ეს გადმოცემა მიზნად ისახავს იმას, რომ დროთა ვითარებაში არ იქნეს დავიწყებული ადამიანთა საქებარი საქმიანობა, არც ის დიდი და საოცარი საქმეები უნდა დარჩეს განუდიდებელი, რომლებიც აღასრულეს როგორც ელინებმა, ისე ბარბაროსებმა, არ უნდა იქნეს დავიწყებული ყველა სხვა და, განსაკუთრებით კი ის მიზეზი, რისი გულისათვისაც ებრძოდნენ ელინები და ბარბაროსები ერთმანეთს“.

ჰეროდოტე, „ისტორია“

§ 2. ისტორიის წყარო

ისტორიას მეცნიერები გარკვეული მასალების საფუძველზე აღადგენენ, ასეთ მასალას ისტორიული წყარო ეწოდება. წყაროდ წარსულის ნაშთი თავისთავად არ ხდება, მას ისტორიულ წყაროდ აქცევს ადამიანი, რომელიც წარსულში მომხდარი ამბების აღდგენის, შემეცნების, თუ უკეთ გაგების მიზნით მის შესწავლა-გამოყენებას იწყებს. ისტორიული წყაროა ყველაფერი ის, რაც ადამიანის, ან ადამიანთა საზოგადოების წარსული ცხოვრებიდან შემოგვრჩა და, რასაც ისტორიის რომელიმე დარგის სპეციალისტი, გარდასული ამბების შესასწავლად იყენებს. სხვაგვარად ყოველივე ამას სულიერი და მატერიალური კულტურის ნაშთებს ან ძეგლებსაც ვუწოდებთ.

საზოგადოების წარსულის შესწავლისას ისტორიის წყაროდ იქცევა მიწისქვეშ თუ მიწის ზემოთ არსებული ძველი შენობების, გზების, ხიდების და ა. შ. ნაშთები, მონეტები, საყოფაცხოვრებო ნივთები, მათ შორის სამკაული, შრომის და ბრძოლის იარაღი, ხელოვნების ნიმუშები, საკრავი ინსტრუმენტები, საწერი საშუალებები და წერილობითი ძეგლები: სხვადასხვა შინაარსის ხელნაწერი, თუ ნაბეჭდი წიგნები. მაგ., კანონთა კრებულები, ისტორიული, რელიგიური თუ ლიტერატურული თხზულებები; დოკუმენტები: მეფეთა თუ სხვა თანამდებობის პირთა ბრძანებები, გარიგებები, ყიდვა-გაყიდვის აქტები, დაბადებისა და გარდაცვალების, ქორწინებისა და განქორწინების რეგისტრაციის აქტები, სხვადასხვა ხასიათის დავთრები. დღიურები, მემუარები (მოგონებები), ჟურნალ-გაზეთები; ხალხური ზეპირსიტყვიერება: ლექსები, ზღაპრები, თქმულებები, ანდაზები, იგავ-არაკები და ა. შ. ამა თუ იმ ენის სიტყვიერი მასალა, ანუ ლექსიკა. უახლესი ისტორიის შესწავლისას წინ იწევს ისეთი წყაროები, როგორიცაა დოკუმენტური თუ მხატვრული ფილმები, ტელეარქივები, სხვადასხვა სახის ვიდეო და აუდიო მასალა.

სრული წარმოდგენა რომ შეგვექმნას ისტორიული წყაროს მრავალფეროვნებაზე, მოვიყვანთ ერთ მაგალითს: იმისათვის, რომ გაეგოთ, რითი იკვებებოდნენ რომაელი ლეგიონერები (ჯარისკაცები), მეცნიერებმა გათხარეს მათი ბანაკები და იქ საპირფარეშოების ადგილას დაცული მიწადქცეული ნაშთის ბიო-ქიმიური ანალიზით, დაასკვნეს, რომ ბრძოლაში გამოწრთობილი ამ პროფესიონალი მეომრების ძირითადი საკვები ყოფილა არა ხორცეული, როგორც ეს შესაძლოა წარმოგვედგინა, არამედ ხორბლეულის ფაფა.

ასეთი მრავალფეროვნების მიუხედავად, ისტორიის წყაროს, კლასიფიკაციის თვალსაზრისით, ორ დიდ კატეგორიად ჰყოფენ: *წერილობითი წყაროები* და ადამიანის მიერ შექმნილი დანარჩენი *მატერიალური* თუ *სულიერი კულტურის ძეგლები.* ეს კატეგორიები შეიძლება შემდეგნაირად განვსაზღვროთ: წერილობითი წყარო ისტორიის ისეთი წყაროა, რომლის მეშვეობით ადამიანი თვითონ უშუალოდ გვატყობინებს ან მოგვითხრობს თავის თავზე, ან იმ საზოგადოებაზე, რომელშიც ის ცხოვრობს. ამავე რიგის ძეგლებს უნდა მივაკუთვნოთ დოკუმენტური ფილმები, ტელე-არქივები და ვიდეო, თუ აუდიო მასალა. მატერიალური, თუ სულიერი კულტურის ძეგლები ადამიანის მიერ შექმნილი ფასეულობებია, რომლებიც მოგვითხრობენ მათ შემქმნელზე და იმ საზოგადოებაზე, რომელშიც ისინი შეიქმნენ.

სხვადასხვა სახის ისტორიული წყაროები:



როზეტის ქვა.
ეგვიპტე. ძვ. წ. 192 წ.

ინდიელი ბელადი ტრადიციულ სამოსში.
XX ს. დასაწყისი

ოქროს მონეტა
ლიდია. ძვ. წ. VI ს.

ჩვილის საკვები თიხის ჭურჭელი
ანტიკური საბერძნეთი.
ძვ. წ. VI-IV სს.

§ 3. ისტორიული ქრონოლოგია

ყველა ისტორიული მოვლენა კონკრეტულ დროს ხდება, ამ დროის დადგენაში ისტორიკოსს ეხმარება ქრონოლოგია.

ქრონოლოგია მათემატიკურ და ისტორიულ ქრონოლოგიად იყოფა. მათემატიკური ქრონოლოგია ციურ სხეულთა მოძრაობაზე დაკვირვებით ადგენს ზუსტ ასტრონომიულ დროს. ისტორიული ქრონოლოგია ისტორიული მეცნიერების ერთ-ერთი უძველესი დარგია. ის იყენებს მათემატიკური ქრონოლოგიის მონაცემებს და ადგენს წარსული მოვლენების თანმიმდევრობას.

კონკრეტულ დროს, როდესაც მოხდა ესა თუ ის მოვლენა, თარიღი ეწოდება. ისტორიული ქრონოლოგიისათვის უმნიშვნელოვანესი სწორედ ზუსტი თარიღების დადგენაა, რაც ხშირად ფრიად რთულია. რატომ არის ეს ასე რთული? იმიტომ, რომ ძველად სხვადასხვა ხალხებს დროის აღრიცხვის სხვადასხვა სისტემა ჰქონდათ და, თუ არ გავითვალისწინეთ რა მიმართებაშია ერთმანეთთან ეს სისტემები, თარიღის დადგენა შეუძლებელი გახდება. *ისტორიული ქრონოლოგია* სწავლობს, თუ როგორ ჩამოყალიბდა და ვითარდებოდა დროის აღრიცხვის ასეთი სისტემები, როგორ აღნიშნავდნენ ისინი თარიღებს, როგორ ჩამოყალიბდა დროის ათვლის თანამედროვე სისტემა და როგორ ხდება ძველი სისტემებით მოცემული თარიღის დროის აღრიცხვის თანამედროვე სისტემაზე გადაყვანა.

ქრონოლოგია ორი ბერძნული სიტყვის „ქრონოს“ — დრო და „ლოგოს“ — ცოდნა — შეერთების გზითაა მიღებული და დროის შესახებ მეცნიერებას ნიშნავს.

<u>დრო და დროის საზომი ერთეულები.</u> ადამიანს სამყაროს შემეცნებისათვის ისეთი განზომილებების შემოტანა სჭირდება, როგორიცაა: სიგრძე, სიგანე, სიმაღლე და დრო. მართლაც, სიგრძით, სიგანით და სიმაღლით ჩვენ სივრცეს ვზომავთ, რაც აუცილებელი და საწყისი პირობაა მის შესასწავლად. დრო კი ისეთი განზომილებაა, რომლითაც ჩვენ სივრცის არსებობის ხანგრძლივობას და სივრცეში მოვლენათა თანმიმდევრობას აღვნუსხავთ.

„დრონი მეფობენ და არა მეფენი“.

დროს ადამიანის ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს. ამ ერთადერთი საზომით ვზომავთ ჩვენ არათუ ადამიანის სიცოცხლის, არამედ მთელი სამყაროს ხანგრძლივობას. ადამიანის ცხოვრების მთელი ციკლი დროზეა აგებული. ქართული ხატოვანი გამოთქმა რომ ვიხმაროთ: „დრონი მეფობენ და არა მეფენი“.

განსაკუთრებული მნიშვნელობა დრომ თანამედროვე ცხოვრებაში შეიძინა. ამას კარგად გამოხატავს მთელს მსოფლიოში გავრცელებული გამოთქმა „დრო — ფულია“.

ადამიანის ცხოვრებაში დროის ასეთი მნიშვნელობის გამო უძველესმა ადამიანებმა დროის გაღმერთება დაიწყეს. ამის საუკეთესო მაგალითია ძველი ბერძნული წარმართული სარწმუნოება, სადაც ქრონოსი დროისა და ჟამის აღმნიშვნელი სიტყვა, იმავდროულად, ბერძნულ წარმართულ რელიგიაში დრო და ჟამის ღვთაების სახელი იყო.

ვინაიდან დრო განზომილებაა, ბუნებრივია, მას თავისი საზომი ერთეულებიც ესაჭიროება. ასეთი ერთეულებია: წამი, წუთი, საათი, დღე-ღამე, კვირა, თვე, წელიწადი, საუკუნე, ათასწლეული.

ადამიანს დროის საზომი ერთეულები აქ ჩამოთვლილი თანმიმდევრობით სულაც არ აღმოუჩენია. თავდაპირველად უძველესმა ადამიანმა დროის მხოლოდ ერთადერთი საზომი ერთეული — *დღე-ღამე* იცოდა. ეს დროის ის მონაკვეთია, რომელსაც დედამიწა თავისი ღერძის გარშემო ერთხელ შემობრუნებას უნდება.

შუმერები. ძვ. წ. მე-XXXX-XXX-ე სს-ში ორი წინააზიური მდინარის ევფრატისა და ტიგროსის ქვემო წელში მცხოვრები უძველესი ხალხი.

შემდეგ შუმერებმა დაახლ. 6 ათასი წლის წინა დღე-ღამე, ანუ დრო მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე და მზის ჩასვლიდან ამოსვლამდე, ორ თანაბარ, თორმეტ-თორმეტ ნაწილიან მონაკვეთად

პირველი ქანქარიანი საათი დაახლ. 1000 წ. გერმანელმა აბატმა და მომავალმა რომის პაპმა სილვესტრ II-მ გამოიგონა (999-1003 წწ.) გამოიგონა.

პირველი ჯიბის საათი ქრისტიან ჰიუგენსმა (1629-1695 წწ.) დააპატენტა.

სინოდალური თვე ახალმთვარეობიდან მომავალ ახალმთვარეობას შორის დროს ეწოდება.

პირველი კოშკის საათი 1228 წ. შექმნეს ინგლისელმა ოსტატებმა.

დაყვეს. დაყოფის საფუძვლად თორმეტი იმიტომ აიღეს, რომ შუმერების რიცხვითი სისტემა სამოცეულებზე იყო აგებული, რომლის ერთ მეხუთედს თორმეტი წარმოადგენს.

ძველმა ასტრონომებმა შეამჩნიეს, რომ დღისა და ღამის ხანგრძლივობა ყოველდღიურად იცვლებოდა, იმ დროს, როდესაც დღე-ღამის საერთო ხანგრძლივობა, ანუ დრო მზის ამოსვლიდან მზის მეორე ამოსვლამდე, უცვლელი რჩებოდა. ამიტომ შუმერებმა მთელი დღე-ღამე, 12+12, ანუ ოცდაოთხ თანაბარ ნაწილად დაყვეს. ამგვარად მათ დროის შედარებით მცირე საზომი ერთეული საათი შექმნეს, რომელიც დღე-ღამის ერთი ოცდამეოთხედია. მათვე საათი, როგორც დროის საზომი ერთეული, სამოც უფრო მცირე ერთეულად წუთად, ხოლო წუთი კი ასევე 60 კიდევ უფრო მცირე ერთეულად წამად და ა. შ. დაყვეს.

დროის უფრო მცირე ერთეულებად — წუთებად, წამებად და ა.შ. დაყოფა საუკუნეთა განმავლობაში ძირითადად, უფრო თეორიული გამოთვლებისთვის სჭირდებოდათ, ვინაიდან ადამიანს დროის ათვლის ზუსტი ხელსაწყო ანუ საათი, რომელიც დროის ამ მცირე ერთეულების ზუსტად ათვლას შეძლებდა, არ გააჩნდა.

უძველესი საათი მზის საათი იყო, რომელიც დროს მზის ჩრდილის მოძრაობის მიხედვით აითვლიდა. მისი ყველაზე დიდი ნაკლი ის იყო, რომ ასეთი საათით დროის ათვლა მხოლოდ მზიან ამინდში შეიძლებოდა. დაახლოებით 3500 წლის წინ ადამიანმა წყლის საათი გამოიგონა, სადაც დროის ათვლა ერთი ჭურჭლიდან მის ქვემოთ მდებარე ჭურჭელში გადასული წყლის რაოდენობის მიხედვით ხდებოდა. იმავდროულად ამავე პრინციპზე მომუშავე ქვიშის საათიც შექმნეს. ასეთ საათში წყალს ქვიშა ცვლიდა. პირველი მექანიკური, ქანქარიანი საათი მხოლოდ X ს-ის მიწურულს გაჩნდა.

ადამიანმა ძალზე ადრე შეამჩნია, რომ ყოველი ახალი მთვარიდან შემდგომ ახალ მთვარემდე ყოველთვის ერთი და იგივე დრო გადიოდა. ასე აღმოაჩინა მან დროის ახალი ერთეული *თვე*. თავდაპირველად თვე მთვარის იყო. სწორედ ამან განაპირობა, რომ თვის სახელწოდება მრავალ ენაში მთვარის სახელთანაა დაკავშირებული, მაგ., ბერძნულში *მენე* მთვარეს ნიშნავს, *მენ* — თვეს; ინგლისურში *moon* — მთვარეა, *month* — თვე; გერმანულში *mond* მთვარეა, *monat* — თვე; რუსულში *месяц* — მთვარესაც ნიშნავს და თვესაც; ქართულ სიტყვებს თვე/თუე-ს და მ-თუ-არ-ე-საც ერთი ძირი აქვთ. მთვარის თვის ხანგრძლივობა დროის იმ მონაკვეთის ტოლია, რომლის განმავლობაში მთვარე დედამიწის ირგვლივ ერთ შემობრუნებას უნდება. ეს დრო ადამიანის თავდაპირველი უხეში გამოანგარიშებით 30 დღეს უდრიდა.

მოგვიანებით, ჯერ კიდევ შუმერმა ასტრონომებმა მთვარის ასტრონომიული, ანუ *სინოდალური თვე* ზუსტად დაადგინეს (29 დღე, 12 სთ., 44 წთ., 2,6 წამი) და ის 29.5 დღით განისაზღვრა.

მიუხედავად ამისა, მათი კვლევის შედეგები იმჟამინდელ მსოფლიოში მყისიერად როდი გავრცელდა. ახალი ცოდნის ათვისებამდე ძველი მსოფლიოს სხვადასხვა ხალხებში მთვარის თვე ერთ ხანს კვლავაც 30-დღიანი რჩებოდა.

ადამიანი დედამიწის ირგვლივ ბრუნვისას, მთვარეს სხვადასხვა სისრულით ხედავს: ვიწრო ნამგლისებური, ნახევარი, არასრული და სრული მთვარე. ამას მთვარის ფაზები ეწოდება. მთვარის ეს ფაზები, როგორც ქვემოთ ვნახავთ, საფუძვლად დაედო ძველი ადამიანის მიერ თვის უფრო მომცრო ნაწილებად —კვირებად დაყოფას.

სეზონური ცვლილებებისადმი თვალისდევნება უძველესი ადამიანისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის იყო, ვინაიდან ის სოფლის მეურნეობის ციკლს უკავშირდებოდა: ხვნა-თესვა, მკა, თიბვა,

რთველი და სხვ. ბუნებრივია, ადამიანებმა ადრევე შეამჩნიეს, რომ გარკვეული თვეების განმავლობაში თბილი სეზონი ცხელი სეზონით იცვლება, ცხელი — გრილით, გრილი — ცივით და, რომ სეზონთა ასეთი ცვლა დაახლოებით თორმეტი მთვარის თვის გასვლის შემდეგ კვლავაც მეორდებოდა. ასე აღმოაჩინა ადამიანმა დროის კიდევ ერთი საზომი ერთეული — მთვარის წელიწადი.

მთვარის წელიწადი, შუმერებმა ჯერ კიდევ 6 ათასი წლის წინა თორმეტ თვედ დაყვეს და მთვარის ასტრონომიული თვის მიხედვით წელიწადის ხანგრძლივობა 354/55 დღით განსაზღვრეს.

სხვა ხალხებში კი მაგ., ძველ ეგვიპტელებში წელიწადის ხანგრძლივობა 30-დღიან მთვარის თვეზე დაყრდნობით კარგა დიდხანს კვლავ 360-დღიანი დარჩა.

თანდათანობით ადამიანები მიხვდნენ, რომ მთვარის წელიწადი არ იყო დროის იდეალური საზომი სასოფლო სამუშაოების წარმოებისათვის, ვინაიდან ყოველწლიურად ამ სამუშაოების დაწყების დრო წინა წელთან შედარებით დაახლოებით ათი დღით ინაცვლებდა. ამის მიზეზი ის არის, რომ სეზონების რეალურ ცვალებადობას, რომელიც მზის ციკლს და მზის, ანუ ასტრონომიულ წელიწადს შეესაბამება, მთვარის წელიწადი 10/11 დღით ჩამორჩება.

მზის ანუ ასტრონომიული წელიწადი ჯერ კიდევ ძველმა ეგვიპტელმა და ბაბილონელმა ასტრონომებმა — 365 დღით განსაზღვრეს, მაგრამ მათ მიერ გამოთვლილი მზის წელიწადი რეალურ ასტრონომიულ წელიწადს 5 სთ-ით, 48 წთ-ითა და 46 წამით ჩამორჩებოდა. ეს ცდომილება, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ძველეგვიპტელ სწავლულთა გამოთვლების საფუძველზე შედგენილ რომაულ-იულიანურ კალენდარმა მნიშვნელოვნად შეამცირა, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ აღმოფხვრა.

<u>კვირა და კვირის დღეები.</u> უძველესი დროიდან ადამიანმა თვეების უფრო მცირე მონაკვეთებად, ანუ კვირებად დაყოფა დაიწყო. თავდაპირველად სხვადასხვა ხალხებში კვირა დღეების განსხვავებულ ოდენობას მოიცავდა. შვიდდღიანი კვირა პირველად შუმერებმა დაამკვიდრეს და მათგან ბაბილონელებმა გადაიღეს. ამას საფუძვლად მთვარის ოთხი ფაზის მონაცვლეობა დაედო. შვიდდღიანი კვირის ცალკეულ დღეებს ბაბილონელებმა და მათი გავლენით, საერთოდ, მსოფლიოს მრავალმა ხალხმა შვიდი მნათობისა და, იმავდროულად, ღვთაების სახელი შეარქვა. ამ შვიდ მნათობ-ღვთაებაში მხოლოდ იმჟამად ცნობილი ხუთი პლანეტა, მზე და მთვარეც მოიაზრებოდა, რომლებსაც ძველი ასტრონომები შეცდომით, პლანეტებად მიიჩნევდნენ.

სიტყვა *პლანეტა* — მოხეტიალეს ნიშნავს. ადამიანმა ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ შეამჩნია, რომ პლანეტების ცაზე მოძრაობა ვარსკვლავების მოძრაობისგან განსხვავდებოდა, ამიტომ მათ „მოხეტიალე“ უწოდა. პლანეტების აღმნიშვნელი ძველქართული სიტყვა „ცთომილია“, რაც აგრეთვე, მათ „მცდარ მოძრაობას“ უკავშირდება.

ანტიკურ ხანაში ადამიანი მისთვის პლანეტებად მიჩნეულ შვიდ ციურ სხეულს (მზე, მთვარე და პლანეტები: მერკური, მარსი, ვენერა, იუპიტერი, სატურნი) აღმერთებდა. სხვა პლანეტებს ადამიანი XVI ს-მდე არ იცნობდა, რადგან მათი დანახვა შეუიარაღებელი თვალით შეუძლებელია.

მთვარის ასტრონომიული წელიწადი, ანუ თორმეტი სინოდალური მთვარის თვის ჯამი 354,36 დღე-ღამის ტოლია.

მზის, ანუ ასტრონომიული წელიწადი. ასტრონომებმა დიდი ხანია დაადგინეს, რომ მზე ცაზე დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მიემართება და მისი მდებარეობა წლის განმავლობაში ცაზე ვარსკვლავების მიმართ იცვლება. ეს მოძრაობა ციკლურია, რადგან ბოლოს მზე კვლავ თავის თავდაპირველ მდგომარეობას უბრუნდება. დროს, რომელიც მზეს მოძრაობის ერთი ციკლის დასრულებისა-თვის სჭირდება, მზის წელიწადი, იგივე ასტრონომიული წელიწადი ეწოდება. ის 365 დღის 5 საათის 48 წუთისა და 46 წამის ტოლია.

კვირა ძველ ხალხებში. ძველ ეგვიპტელებს ათდღიანი, ძველ სპარსელებს, ინდოელებს, კელტებს ცხრადღიანი, აპენინის ნახევარ-კუნძულზე მოსახლე ეტრუსკებს და მათ მეზობლებს — ძველ რომაელებს კი რვა-დღიანი კვირა ჰქონდათ. აქედან ისინი პირველ შვიდ დღეს მუშაობდნენ, მერვე დღეს კი ბაზრობებზე მიდიოდნენ ან რელიგიურ დღესასწაულებს მართავდნენ.

ხუთი პლანეტა-ღვთაების სახელი:

ბერძნულად:	**ლათინურად:**
ჰერმესი,	მერკური,
არესი,	მარსი,
აფროდიტე,	ვენერა,
ზევსი,	იუპიტერი,
კრონოსი	სატურნი.

ცვლილებები სამყაროს გააზრებაში. ძველი ასტრონომები სამყაროს ცენტრად დედამიწას მიიჩნევდნენ, რომლის გარშემო ვარსკვლავები და პლანეტები მოძრაობდნენ. XVI ს-დან კაცობრიობამ უკვე გაიგო, რომ „ცთომილები“, ანუ პლანეტები მზის გარშემო მოძრაობენ და არა დედამიწის. თანდათანობით ადამიანისათვის ცნობილი პლანეტების რიცხვიც გაიზარდა და ცხრას მიაღწია: მერკური, ვენერა, დედამიწა, მარსი, იუპიტერი, სატურნი, ურანი, ნეპტუნი, პლუტონი. სულ ბოლო დროს, თავისი მცირე მოცულობის გამო, პლუტონს პლანეტის *ტიტული* ჩამოართვეს. ასე რომ, მზის სისტემაში დღეს რვა პლანეტა სახელდება.

ზოდიაქოს წრე. ძველმა ასტრონომებმა დიდი ხნის წინ შეამჩნიეს, რომ თავის ორბიტაზე მოძრაობისას მზის მდებარეობა ცაზე ცალკეული თანავარსკვლავედის მიმართ იცვლება. ამიტომ, ჯერ კიდევ შორეულ წარსულში, ცაზე მზის მოძრაობის გზა მათ, 12 თანავარსკვლავედის მიხედ-ვით, 12 ნაწილად დაყვეს. ვინაიდან თანავარსკვლავედთა უმეტესობას ძველმა ბერძნებმა ცხოველების სახელები შეარქვეს, ძველ ბერძნულად კი ცხოველს „zodiakoz“ ეწოდებოდა, ამიტომ მზის მოძრაობის ამ წრეს სახელად ზოდიაქოს წრე დაუმკვიდრდა.

ასტროლოგია. უძველესი ადამიანი მიიჩნევდა, რომ მზის, პლანეტებისა და ვარსკვლავთა ცაზე განლაგების მიხედვით მომავლის წინასწარმეტყველება შეიძ-ლებოდა. ამის საფუძველზე, მომავლის განსაჭვრეტად მთელი დარგი შეიქმნა, რომელსაც ასტროლოგია ეწოდა. დღესაც ასტროლოგები მზის, მთვარისა და მზის სისტემის პლანეტების: მერკურის, ვენერას, მარსის, იუპიტერის და ა.შ. ერთმანეთის და იმავდროულად ზოდიაქოს 12 თანავარსკვ-ლავედის მიმართ განლაგების მიხედვით ადგენენ ჰოროსკოპს და მომავალს წინასწარმეტყველებენ. ბევრ ცნობილ პოლიტიკოსს ფარულად ამჟამადაც თავიანთი ასტროლოგები ჰყავთ. ზოდია-ქოს წრეს ქართველები უძველესი დროი-დან იცნობდნენ. მსოფლიოში დღემდე მოღწეულ ზოდიაქოს ნიშნებიან უძველეს ხელნაწერებს შორის ერთ-ერთი XI ს-ის ქართული ხელნაწერია, რომელშიც ზოდიაქოს ყველა ნიშანი და მათი ახსნაა მოცემული.



ძველი ქართული
ზოდიაქოს ნიშნების ხელნაწერი.
XI საუკუნე

ძველი ებრაელებიც, მეზობელი უძველესი შუამდინარეთის ხალხების შუმერებისა და ბაბილონელების გავლენით, იმთავითვე, თვეს შვიდდღიან მონაკვეთებად ყოფდნენ. ამას, უპირველეს ყოვლისა, „ძველი აღთქმა“ მოწმობს, რომლის მიხედვით ღმერთმა სამყარო ექვსი დღის განმავლობაში შექმნა, მეშვიდე დღეს კი დაისვენა. ვინაიდან ებრაელებს მხოლოდ ერთი ღმერთი სწამდათ, ბუნებრივია, კვირის დღეებს ღვთაება-მნათობების სახელებს ვერ დაარქმევდნენ. ამიტომაც, სახელები დღეებს თავიანთი რელიგიური წესების შესაბამისად შეარქვეს: ძველ ებრაულად დასვენებას „შაბბათ“ ეწოდება; ამიტომ ებრაელებმა იმ დღეს, როდესაც ექვსდღიანი მუშაობის შემდეგ სამყაროს შექმნით დაღლილმა ღმერთმა დაისვენა, „შაბათი“, ანუ დასვენების დღე უწოდეს და კვირის დანარჩენი ექვსი დღე შაბათიდან აითვალეს: შაბათის შემდეგ პირველი დღე, მეორე დღე, მესამე დღე და ა.შ.

კვირის დღეების ასეთი დასახელება ებრაელებიდან ძველმა სპარსელებმა გადაიღეს. სავარაუდოდ, ეს მაშინ უნდა მომხდარიყო, როდესაც აქემენიანთა სპარსეთის პირველმა მბრძანებელმა კიროსმა (ძვ. წ. VI ს.) ბაბილონი აიღო და ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოსორ II -ის მიერ დატყვევებული ებრაელები გაათავისუფლა.

ებრაელებისაგან განსხვავებით სპარსელებმა შაბათის, მათი გამოთქმით „შამბეჰის“ შემდგომ დღეებს იექ(ერთი)-შამბეჰი, დუ(ორი) -შამბეჰი, სე(სამი)-შამბეჰი და ა. შ. უწოდეს.

კვირის დღეების სახელების ეს სპარსული ვერსია შეითვისეს ჩვენმა წინაპრებმაც. ამიტომაც კვირის დღეების ერთ ნაწილს ქართულად დღესაც: ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი და ხუთშაბათი ეწოდება.

შვიდდღიანი კვირა ხმელთაშუაზღვისპირა ქვეყნებში ძვ. წ. I საუკუნისათვის უკვე საყოველთაოდ გავრცელდა. ებრაული წარმოშობის რომაელი ისტორიკოსი *იოსებ ფლავიუსი* ამის თაობაზე აღნიშნავს, რომ ხმელთაშუაზღვისპირეთში არცერთი ქალაქი და არცერთი ხალხი არ დარჩა, რომელიც მისი მშობლიური ხალხის (ანუ ებრაელების) მსგავსად, ყოველ მეშვიდე დღეს არ ისვენებდეს.

ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ რომაულ კალენდარში კვირის მეშვიდე, დასვენების დღეს, წარმართული პლანეტა-ღვთაება სატურნის სახელის ნაცვლად „საბბატუსი“ ეწოდა, ვინაიდან რომაელები შაბათს „საბბატუს“-ად გამოთქვამდნენ. დანარჩენ დღეებს კი კვლავ ძველი მნათობი-ღვთაებების სახელები დარჩათ. რომის იმპერიის ბერძნულენოვან მოსახლეობაში კი, რომაელებისაგან განსხვავებით, კვირის დღეების წარმართული, ბერძნულ-რომაული მნათობ-ღვთაებების სახელები მთლიანად ებრაულის მსგავსად შეიცვალა, მხოლოდ ერთი განსხვავებით: ბერძნებმა შაბათის, ანუ ებრაული მეშვიდე დასვენების, იმავე „უფლის დღის“ წინა, მეექვსე დღეს, პარასკევი შეარქვეს, რაც ბერძნული ზმნიდან „პარასეკო“ მოდის და სიტყვასიტყვით „მომზადებას“, ანუ „საუფლო დღისათვის“ — შაბათისათვის მომზადებას ნიშნავს.

პარასკევის ეს სახელწოდება კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ცნობილ ფაქტს, რომ თავდაპირველად ქრისტიანები, ებრაელების მსგავსად, „უფლის“, ანუ დასვენების დღედ სწორედ შაბათს მიიჩნევდნენ.

325 წ-ის ნიკეის I მსოფლიო საეკლესიო კრებაზე დაისვა საკითხი, კვირის რომელი დღე ექციათ ქრისტიანებს დასვენების, ანუ უფლის დღედ. გადაწყდა, რომ ასეთად მზის დღე მიეჩნიათ, რომელიც, ბერძნულ-რომაულ წარმართულ კალენდარში, როგორც ვიცით, შაბათის შემდეგ პირველი დღე იყო. შესაბამისად, მზის დღეს ლათინურად „დომინიკუს“, ბერძნულად კი კვირიაკე ეწოდა, რაც ამ ენებზე „ღვთის, უფლის დღეს“ ნიშნავს. ამგვარად, ქრისტიანობის